განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7.04.2022 – 8.04.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცევტული ქიმია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფარმაციის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ბაკურიძე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარი დუაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ფარმაცევტული ქიმიის დოქტორანტურის საგანამათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ფორმულირებული მიზანი, რომელიც გულისხმობს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით კვალიფიციური მკვლევრების მომზადებას. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მერვე დონეს.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცევტული ქიმია“ მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები ნაწილობრივ უზრუნველყოფენ პროგრამის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას და შესაბამისად, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2022 წლის 7 – 8 აპრილს და შეხვედრები თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების Zoom ის მეშვეობით განხორციელდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან. მატერიალურ ტექნიკური ბაზეის დათვალიერება მოხდა ადგილზე ვიზიტით.

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა სადოქტორო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სადოქტორო თემატიკების შერჩევის მეთოდები და მათი განხორციელების გზები, ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის რესურსები, პროგრამის ადამიანური რესურსი, სილაბუსები და შეფასების სისტემა, პრაქტიკის ბაზები, სტუდენტური სერვისები, დამსაქმებელთა ჩართულობა და შესაძლო დასაქმების შესაძლებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის და შედეგების შეფასების მექანიზმები.

ვიზიტის ბოლოს შემაჯამებელ შეხვედრაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის მიერ მოხდა ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია

ასევე გაცნობებთ, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიწე წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, როლემსაც არ დავეთანხმდეთ და დასკვნა დარჩა უცვლელი

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფარმაციის სადოქტორო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობი შესწავლა მოხდა აკრედიტაციის 5 ძირითადი სტანდარტის მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

1. **საგანანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

სადოქტორო პროგრამის მიზანი ნთლად არის ჩამოყალიბებული და ნაწილობრივ შეესაბამება დაგეგმილი სწავლების შედეგებს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს, სტუდენტის მომზადება კარიერისთვის, რომლებმაც უნდა გაიგონ ახალი მედიკამენტების შექმნის და ფერმენტების მიზნობრივი ქცევის ინჟინერიის ტექნოლოგიური პასუხისმგებლობა. ბუნდოვანია როგორ მოხდება ამ მიზნის მიღწევა, რადგან პროგრამაში არ არის შეტანილი ფარმაცევტული ტექნოლოგიის შემსწავლელი სასწავლო კურსი / კურსები.

პროგრამის შინაარსი და შესაბამისად, პროგრამის მიზნები უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მოთხოვნებს. სადოქტორო პროგრამისთვის ეს საკითხი ბუნდოვანია, რადგან წარმოდგენილი ინფორმაცია ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ძალიან მწირია და არ არის ინფორმაციული.

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად. სადოქტორო ხარისხის მისაღებად დაიშვება ფარმაციის დარგში მაგისტრის ან ეკვივალენტური ხარისხის მქონე პირი.

დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). 60 კრედიტი ეთმობა სასაწავლო კომპონენტს: 40 კრედიტი - ძირითადი საგნები, 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესი სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების კომპონენტები და მეთოდები ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, რამაც შეიძლება შეაფერხოს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. სწავლების შეფასების სისტემა საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომებს და სასწავლო საგნების სპეციპიკის გათვალისწინებას რათა უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტის განმავითარებელი, სწორი და სამართლიანი შეფასება.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

საქართველოს უნივერსიტეტი თავისი სტუდენტებისათვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე) მართავს საორიენტაციო ღონისძიებებს, როდესაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და

ატრენინგებენ ონლაინ სისტემის „ჩემი UG" -ს გამოყენებაში. სტუდენტს შეუძლია სხვა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ან საგანმანათლებლო ოფისის სამსახურებისგან.

სადოქტორო კვლევითი დისერტაციის ხელმძღვანელობა ხორციელდება სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ფაეგლებში. პროექტის თემა, სათაური და ხელმძღვანელი წინასწარ არის შერჩეული. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის საკვალიფიკაციო დისერტაციის შესრულებას. სტუდენტს მოეთხოვება წინასწარ მოახდინოს პრეზენტაცია პროექტზე თავისი იდეების შესახებ. იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მართავს დოქტორანტის აკადემიურ კვლევით საქმიანობას. აღნიშნული საბჭო არაეთგვაროვნად მუშაობს, პანელზე წარმოდგენილი დოქტორანტები, რომლებსაც უკვე თითქმის დასრულებული აქვთ დისერტაციები, არ ადასტურებენ ამ საბჭოს აქტიურ მუშაობას (საერთოდ არ ჰქონიათ მსგავსი შეხვედრები), მაშინ როცა კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის არსებობა.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მატერიალური ბაზით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები მეტწილად აღჭურვილია შესაბამისი ხელსაწყო/დანადგარებით და სახარჯი მასალებით, შესაბამისად სტუდენტს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად.

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, რომლის თანახმადაც სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ჯეროვნად მართვას (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების, არსებული პროცედურებისა და მექანიზმების მუდმივ ექსპერტულ შეფასებას, მონიტორინგსა და მათი განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის შესწავლამ გამოკვეთა რიგი შეუსაბამობები აკრედიტაციის სტანდარტებთან და საკუთრივ აკრედიტაციის პროცედურასთან მიმართებით.

გასაუბრების შედეგებმა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აჩვენა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ცენტრალიზებულია და იმართება შესაბამისი სამსახურის მიერ, მასში

ნაკლებად მონაწილეობს პროგრამის აკადემიური გუნდი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია პროგრამის მიზნები იყოს მიღწევადი და აქედან გამომდინარე აუცილებელია პროგრამას დაემატოს ფარმაცევტული ტექნოლოგიის სასწავლო კურსი / კურსები
  - რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი
  - რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება
  - რეკომენდებულია პროგრამაში და სილაბუსებში რუბრიკა ***„ ცოდნა, უნარები,*** **პასუხისმგებლობა და ავტონომია“** ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით
  - რეკომენდებულია მოხდეს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მორგება პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთვრებულთა დარგობრივი კომპეტენციების სწორად ასახვას ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შედეგებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობების განსაზღვრას.
  - რეკომენდებულია პრაგრამაშის და წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს იდენტური
  - რეკომენდებულია პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი/განმარტება არჩევით საგნებთან დაკავშირებით, რათა ჯამური კრდიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 60 კრედიტს
  - რეკომენდებულია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდების და მეთოდლოგიის სასწავლო კურსების შესწავლას.
  - რეკომენდებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს, მაგალითად: მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში; თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები; სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურ-ფარმაცევტული, ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სოციალური და კლინიკური ფარმაცია; ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია, რათა პროგრამის კურიკულუმი შეესაბამებოდეს ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციას.
  - რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში ინგლისურ ვერსიაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის კრედიტებში მოცულობასთან დაკავშირებით;
  - რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში გაიწეროს და დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნების პირობები.
  - რეკომენდებულია გაიზარდოს სამეცნიერო კომპონენტის სწავლების მიზნით შემუშევაბეული სასწავლო კურსები.
  - რეკომენდებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.
  - რეკომენდებულია სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში
  - რეკომენდებულია შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას

- რეკომენდებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა.

- რეკომენდებულია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასთან და ფარმაცევტულ საწარმოსთან
- რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
- რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.).
- რეკომენდებულად მიგვაჩნია გადაიხედოს დოქტორანტურის დებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სტატიის გამოქვეყნების პირობები და კრიტერიუმები. სახელდობრ, რეკომენდებულია დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა პირობაა გახდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება, კერძოდ კი ა) რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ბ) ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი

მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების პროგრამების დოქტორანტებისთვის შესაძლებელია ამავე მიზნით შეთავაზებულ იქნას ERIH PLUS) ბაზებში.

- რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა.

- რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის.
- რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.).
- რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
- ✓ მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
- ✓ შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროგრამაში გაიწეროს უფრო ვრცლად, დაკონკრეტდეს მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რადგან იყოს გგამჭვირვალე და ხელმისაწვდომი
  - სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება
  - სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხებები
  - სასურველია დოქტორანტურის სტუდენტებთან უფრო ხშირი კონსულტაციების ჩატარება სტუდენტების აკადემიური საქმიანობის და კარიერის მომავლის დაგეგმვის თაობაზე, რათა ყველა სტუდენტმა კარგად იცოდეს რა დახმარების მიღება შეუძლიათ მათ უნივერსიტეტის მხრიდან საკუთარი ნაშრომების საერთაშორისოდ წარმოჩენის თვალსაზრისით, ასევე ჰქონდეთ გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ მოახერხებენ სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესრულებას წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.
  - სასურველია ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში, მაშინ როცა დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის ემპირიული ბაზა არის ინგლისურენოვანი, მას მოეთხოვებოდეს ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა. სასურველია თუ საკითხთან დაკავშირებით გადაიხედება და დაზუსტდება დოქტორანტურის დებულების 1-ლი თავის, მე-2 მუხლის შესაბამისი ჩანაწერი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაცევტული ქიმიის დოქტორანტურის საგანამათლებლო პროგრამას აქვს ნათლად ფორმულირებული მიზანი, რომელიც გულისხმობს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით კვალიფიციური მკვლევრების მომზადებას. პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მერვე დონეს. პროგრამის შინაარსი და შესაბამისად, პროგრამის მიზნები უნდა ითვალისწინებდეს და ასახავდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სადოქტორო პროგრამისთვის ეს საკითხი ბუნდოვანია, რადგან წარმოდგენილი ინფორმაცია ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით ძალიან მწირია, არ არის ინფორმაციული და არ ასახავს ბაზარზე არსებულ რეალობის ანალიზს. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრისათვის გამოყენებულია ანალოგი პროგრამების ანალიზი. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ინტერნეტის წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა ფარმაცევტული ქიმიის სფეროს სადოქტორო პროგრამები, რაც ძირითადად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ასახულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. თუმცა აღნიშნული ანალიზი დაწესებულებას არ წარმოუდგენია, არც გასაუბრებებისას დადასტურდა თუ რაში გამოიხატა და როგორ აისახა ანალოგების ანალიზი ამ პროგრამის მიზნებზე, შედეგებსა და კურიკულუმზე ან მის განხორციელების სპეციფიკაზე. ბუნდოვანია თუ რამდენად დეტალურად იქნა შესწავლილი ანალოგი პროგრამები და რამდენადმოხდა საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში. პროგრამის სრულყოფისა და მისი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველი იქნებოდა უფრო მეტად გამოყენებული ყოფილიყო პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. ამ გზით, ანალოგი პროგრამების ანალიზი იქნებოდა უფრო ღრმა და სრულყოფილი, რაც ასევე წვლილს შეიტანდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაუმჯობესებაშიც. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები მისი მიზნების მიღწევის გარანტიაა. პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური და მატერიალური რესურსებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს, სტუდენტის მომზადება კარიერისთვის, რომლებმაც უნდა გაიგონ ახალი მედიკამენტების შექმნის და ფერმენტების მიზნობრივი ქცევის ინჟინერიის ტექნოლოგიური პასუხისმგებლობა. ბუნდოვანია როგორ მოხდება ამ მიზნის მიღწევა,

რადგან პროგრამაში არ არის შეტანილი ფარმაცევტული ტექნოლოგიის შემსწავლელი სასწავლო კურსი / კურსები. აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში, ინტერვიუების ჩატარებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები ნაკლებად გაზიარებულია ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მაგალილითად დამსაქმებლისთვის. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერისტეტის ვებ-გვერდზე https://www.ug.edu.ge/ , სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ პროგრამის უპირატესობებს, მიღების წინაპირობებს და სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს უნივერსიტეტის მისია • ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები იყოს მიღწევადი და აქედან გამომდინარე აუცილებელია პროგრამას დაემატოს ფარმაცევტული ტექნოლოგიის სასწავლო კურსი / კურსები • რეკომენდირებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი • რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისა და უმაღლესი განათლების მე - 3 საფეხურის (სადოქტორო) მოთხოვნებს. პროგრამა ანიჭებს ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციას. თუმცა სწავლის შედეგები და მიზნები ფარმაცევტულ ქიმიაზეა დამყარებული, ასევე კურიკულუმიც. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, პროგრამის სწავლის შდეგები, რომელიც ორიენტირებულია ფარმაციის ქიმიის სადოქოტორო პროგრამაზე, ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ფარმაციის დოქტორს. რეკომენდებულია მოხდეს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მორგება მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, რაც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთვრებულთა დარგობრივი კომპეტენციების სწორად ასახვას ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შედეგებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას შესაძლებლობების განსაზღვრას.

თვითშეფასების ანგარიშში თანახმად, პროგრამას განესაზღვრა კომპეტენციები მუდმივად განვითარებად ტექნოლოგიებში, წამლების შემუშავებაში. თუმცა რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს აღნიშნული კომპეტენციის განსაზღვრას გაურკვეველია.

სადოქტორო პროგრამას ახლავს კურიკულუმის რუკა, სადაც წარმოდგენილია სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსებთან. პროგრამის სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულები არაა წარმოდგენილი.

საყურადღებოა, რომ პროგრამისა და რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები სრულყოფილად არ აღწერს თუ რა ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის დემონსტრირება შეეძლება სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეეძლება სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები, როგორიცაა „იცის“, „ფლობს“, „ექნება“ და ა.შ. თითოეული სწავლის შედეგი უნდა ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით და ასევე, თითოეული სწავლის შედეგისთვის სასურველია მხოლოდ ერთი ზმნის გამოყენება (იხ. 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; 2. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო, დ. კენედი, 2006 წ. რედ. 2014 წ.). რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან სწავლის შედეგების მართებულად ჩამოყალიბების (მოქმედების გამომხატველი, აქტიური ზმნებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გაზომვადობა) მიზნით, რაც შემდგომ ეტაპზე გაამარტივებს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს სწავლის შედეგებთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასწავლო კურსის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამაში და სილაბუსებში რუბრიკა ***„ ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია“*** ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით
- რეკომენდებულია მოხდეს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მორგება პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთვრებულთა დარგობრივი კომპეტენციების სწორად ასახვას ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის შედეგებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობების განსაზღვრას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის			✓	

მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად. სადოქტორო ხარისხის მისაღებად დაიშვება ფარმაციის დარგში მაგისტრის ან ეკვივალენტური ხარისხის მქონე პირი. საქართველოს უნივერსიტეტის სკოლის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი დოქტორანტურის პროგრამაზე სტუდენტის მიღების მიზნით მისი საკვლევი თემატიკის პროექტს წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს; ინსტიტუტი დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საკვლევი თემატიკის პროექტი გადაეგზავნება სკოლის აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკვლევი თემატიკის გამოცხადების შესახებ; აღნიშნულის საფუძველზე სკოლის საბჭო განსაზღვრავს დოქტორანტურის პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობას. სკოლის საბჭო გადაწყვეტილებას აცნობებს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტის/შესაბამისი სკოლის მიერ დოქტრანტის მიერ წარსადგენი კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს გამოცხადებულ კვლევით თემებთან დაკავშირებული კვლევის კონცეფციები წერილობით ფორმით და ინგლისური ენის, სულ მცირე B2 დონის ცოდნის დამდასტურებელი სერტიფიკატი ან საზღვარგარეთ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის / მაგისტრატურის / დოქტორანტურის პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ან დაინტერესებულმა პირმა უნდა ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ დაწესებული

შიდა გამოცდა ინგლისურ ენაში. ინგლისურ ენაში კომპეტენციის მინიმალური ზღვარი არის მაქსიმალური შეფასების 60%. დოქტორანტურის პროგრამით შეიძლება განისაზღვროს ინგლისურის ნაცვლად ან მასთან ერთად სხვა უცხოური ენის ცოდნის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, აღნიშნული უცხოური ენის მიმართ ვრცელდება ინგლისურ ენასთან დაკავშირებით დადგენილი რეგულაცია. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს კანდიდატის წარდგენილი წერილობითი და ზეპირი მოხსენებების განხილვის კანდიდატის კვლევითი უნარებისა და სასწავლებლის კვლევის პრიორიტეტებისა და რესურსების შესაბამისობის შეფასების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დაშვების წინაპირობები პროგრამაში და წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანამათლებლო პროგრამა
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.ug.edu.ge/
- სადოქტორო პროგრამის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პრაგრამაშის და წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს იდენტური

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროგრამაში გაიწეროს უფრო ვრცლად, დაკონკრეტდეს მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რადგან იყოს გგამჭვირვალე და ხელმისაწვდომი

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განვითარების დებულებაში აღწერილია ეტაპზები და ვალდებულებები ამ პროცესში ჩართული პირების მიმართ. თუმცა გასაუბრებიდან გამოიკვეთა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელის მუშაობა. კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო; პროგრამის შინაარსი ითვალისიწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა. თუმცა საჭიროა კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-8 დონის შესაბამისად კურიკულუმში კვლევითი და პრაქტიკული უნარების გაძლიერება. რეკომენდირებულია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდების და მეთოდლოგიის სასწავლო კურსების შესწავლა, რათა სტუდენტები დახელოვნდნენ სამეცნიერო პროდუცქიის შექმნაში და ჩამოყალიბდნენ ახალგაზრდა მეცნიერებად. პროგრამის კურიკულუმი ძირითადად ფარმაცევტულ ქიმიაზეა და ფარმაციის დოქტორს ნაკლებად შეესაბამება. გამომდინარე აქედან, რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს, მაგალითად: მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში; თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები; სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურ-ფარმაცევტული, ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სოციალური და კლინიკური ფარმაცია; ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია. სასურველია არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება. დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). 60 კრედიტი ეთმობა სასაწავლო კომპონენტს: 40 კრედიტი - ძირითადი საგნები, 20 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები. თუმცა პროგრამის სტრუქტურაში დაფიქსირდა შეუსაბამობა: არჩევით საგნებს მინიჭებული აქვს 30 კრედიტი, მოცემულია 3 საგანი - თითო 10 კრედიტის ოდენობით. ექსპერთა ჯგუფმა ინტერვიუს დროს გაარკვია, რომ სტუდენტი ამ 3 საგნიდან ირჩევს მხოლოდ 2. საჭიროა პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი / განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სასურველია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ინგლისურ ვერსიაში, აღწერილობაში დაფიქსირებულია საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ჩანაწერი, სახელდობრ, პროგრამის მოცულობა კრედიტებში დაანგარიშებულია 180 კრედიტზე, საიდანაც სასწავლო კომპონენტი 60 კრედიტია. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი 180 კრედიტის თაობაზე წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზსს, რეკომენდებულია დაკონკრეტდეს და უმოკლეს დროში გასწორდეს. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ პროგრამის ოფიციალურ დოკუმენტში არაფერია ნახსენები საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვენყებაზე, კერძოდ კი რამდენი

პუბლიკაციის და რა ტიპის ჟურნალში გამოქვეყნების ვალდებულება აქვს დოქტორანტს, მაშინ როცა, საუნივერსიტეტო დოქტორანტურის დებულება სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებისა და კონკრეტიზაციის მიზნით მითითებას აკეთებს ცალკეული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით/ოფიციალურ დოკუმენტზე. რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში გაიწეროს და დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნების პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი/განმარტება არჩევით საგნებთან დაკავშირებით, რათა ჯამური კრდიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 60 კრედიტს • რეკომენდირებულია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდების და მეთოდლოგიის სასწავლო კურსების შესწავლას. • რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს, მაგალითად: მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში; თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები; სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურ-ფარმაცევტული, ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სოციალური და კლინიკური ფარმაცია; ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია, რათა პროგრამის კურიკულუმი შეესაბამებოდეს ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციას. • რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში ინგლისურ ვერსიაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის კრედიტებში მოცულობასთან დაკავშირებით; • რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში გაიწეროს და დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნების პირობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და შესაბამისად მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უნდა გაიზარდოს სამეცნიერო კომპონენტის სწავლების მიზნით შემუშევაბეული სასწავლო კურსები, რადგან არსებული არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დოქტორანტებში საკმარისად განავითარონ კვლევითი უნარები. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებ, ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციაზე გასვლას.

გამოყენებული ლიტერატურა და მასალები ეფუძნება მიმდინარე სამეცნიერო კვლევებს და მიღწევებს, ხელმისაწვდომია საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის, პროფესორ - მასწავლებლისთვის და განთავსებულია ბიბლიოთეკაში. "MyUG"-ის საშუალებით სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ონლაინ შეუკვეთონ საჭირო მასალები ბიბლიოთეკის ფონდიდან, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს. სასწავლო ლიტერატურა თანამედროვეა და იძლევა პროგრამის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანამათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების მატრიცა
- საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გაიზარდოს სამეცნიერო კომპონენტის სწავლების მიზნით შემუშევაბეული სასწავლო კურსები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად, ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. გამომდინარე იქედან რომ კვლევითი უნდარების განვითარება 60 კრედიტში ნაკლებად ხდება კვლევის მეთოდების და მეთოდლოგიის სასწავლო კურსების სიმცირის გამო. დოქტორენტურის დებულების თანახმად, სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია დოქტორანტს დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში შესაბამის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სტატია/პუბლიკაცია და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული მინიმუმ 1 კონფერენციაში. უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან სამედიცინო მეცნიერების და ტექნოლოგიების სფეროში, როგორიც არის გრონინგენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები, ტარბიატ მოდარესის უნივერსიტეტი, ირანი და ირანის მეცნიერების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი სტუდენტთან კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. თანამშრომლობა ითვალისწინებს სამეცნიერო კავშირების ერთობლივ შექმნას უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად. ასევე უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე აპარეტურით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორიები.

სადოქტორო ნაშრომის მომზადებას ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც სტუდენტს პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებაში ეხმარება და აფასებს მის საქმიანობას. სადისერტაციო თემაზე მუშაობის პერიოდში დანერგილია დოქტორანტის მივლინება პარტნიორ ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და კვლევით ინსტიტუტში (მათ შორის უცხოეთში, სხვადასხვა საგრანტო პროექტის ფარგლებში), რაც ემსახურება დოქტორანტის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებას - ფორმირებას და დადასტურდა ინტერვიუს დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების

გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თითოეული სასწავლო კურსში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება სადოქტორო საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების მეთოდების ფართო სპექტრს: ინტერაქტიული სწავლება; ლიტერატურული მასალების განხილვა; სამეცნიერო წერა; პრობლემის გადაწყვეტა; კოორდინაცია; ჯგუფური სწავლება; პრეზენტაციები; პროექტი; კრიტიკული ანალიზი; დისკუსია; ლაბორატორია. თუმცა მიუხედავად კურსის სპეციფიკისა და კურსის შინაარსისა თითქმის ყველა სილაბუსში აღნიშნულია სწავლა-სწავლის მეთოდების ერთნაირი განაწილებაა, რამაც შეიძლება შეაფერხოს სწავლის შედეგების მიღწევა. სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ თუ საერთაშორისო კონგრესებზე და გამოაქვეყნონ პუბლიკაციები ადგილობრივ ან ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. სილაბუსებში ასახულია საკონსულტაციო საათები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა • სწავლების და სწავლის მეთოდების მატრიცა; • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში და სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კველევით კომპონენტში.

სტუდენტების შეფასება სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. მათ აქვთ სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის შესძლებლობა.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სადისერტაციო ნაშრომების დაცვით, სუ-ში მოქმედი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა არის საჯარო.

მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას / 100%. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51% - 51 ქულა; 2. სასწავლო კომპონენტების შეფასება ხდება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი შეფასებებით, ხოლო კვლევითი კომპონენტების შეფასება ხდება დასკვნითი შეფასებით.

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა:

ქულები	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	უნივერსიტეტის შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		
81-83	2,75	B-		

77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2,00	C-		
67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E	E	საკმარისი
ვერ ჩააბარა				
41-50		FX	FX	არასაკმარისი
<40		F	F	ჩაიჭრა

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summacumlaude) - შესანიშნავი ნაშრომი; 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magnacumlaude) - შედეგი,რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; 81-90%;

გ) კარგი (cumlaude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; 71-80%;

დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს; 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 41-50%,

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicanone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესი სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ერთგვაროვანია და არ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, რამაც შეიძლება შეაფერხოს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობა. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ეს საკითხი პრობლემატურია და გამოწვეულია უნივერსიტეტის რეგულაციებიდან.

სადოქტორო დებულების თანახმად სტუდენტი მონაწილეობს პროგრამის და/ან პროგრამის კომპონენტის, სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის შეფასებაში, რისთვისაც სემესტრულად ავსებს შეფასების კითხვარს, თუმცა აღნიშნული არ დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
- დოქტორანტურის დებულება
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხებები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ საჭირო ინფორმაცია, კონსულტაციები და დახმარება როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისგან, რათა დაგეგმონ და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ეფექტურობა ფაკულტეტის არსებული მოთხოვნების შესაბამისად. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ონლაინ პლატფორმა "My UG", სადაც სტუდენტს შეუძლია მიიღოს ზემოთ ხსნებული სერვისები. ამავე პლატფორმის საშუალებით სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ შეაჯამონ და შეაფასონ თავიანთი სემესტრები, საგნები, ლექტორები და სწავლების მეთოდები გამოხატონ თავიანთი სურვილები გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. სტუდენტებს მოეთხოვებათ დაწერონ მინიმუმ ერთი ნაშრომი საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში, თუმცა ზოგიერთ სტუდენტს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დახმარების მიღება შეუძლია ამისთვის ფაკულტეტის მხრიდან. სტუდენტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის პერსონალის დიდი ნაწილი იმავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან • ონლაინ სისტემა "MY UG"
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • დოქტორანტურის სტუდენტებთან უფრო ხშირი კონსულტაციების ჩატარება სტუდენტების აკადემიური საქმიანობის და კარიერის მომავლის დაგეგმვის თაობაზე, რათა ყველა სტუდენტმა კარგად იცოდეს რა დახმარების მიღება შეუძლიათ მათ უნივერსიტეტის მხრიდან საკუთარი ნაშრომების საერთაშორისოდ წარმოჩენის თვალსაზრისით, ასევე ჰქონდეთ გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ

მოახერხებენ სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესრულებას წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სადოქტორო კვლევითი დისერტაციის ხელმძღვანელობა ხორციელდება სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. პროექტის თემა, სათაური და ხელმძღვანელი წინასწარ არის შერჩეული. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის საკვალიფიკაციო დისერტაციის შესრულებას. სტუდენტს მოეთხოვება წინასწარ მოახდინოს პრეზენტაცია პროექტზე თავისი იდეების შესახებ. იქმნება საკონსულტაციო საბჭო, რომელიც მართავს დოქტორანტის აკადემიურ კვლევით საქმიანობას. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ აღნიშნული საბჭო არაერთგვაროვნად მუშაობს. ზოგერთ პროგრამასთან მიმართებით აქტიურია, ხოლო ზოგის შემთხვევაში კი არც ფუნქციონირებს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას სტუდენტი მუდმივ კონტაქტშია ხელმძღვანელთან, ახორციელებს კვლევებს მენტორის მეთვალყურეობის ქვეშ და პერიოდულად აცნობებს თავისი მუშაობის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში

• გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ➢ პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. სადოქტორო პროგრამას „ფარმაცევტული ქიმია“ ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. არსებული ადამიანური რესურსების ფარგლებში მაქსიმალურად გათვალისწინებულია თითოეული კომპონენტის განმახორციელებელი პირის შესაბამისობა და კავშირი მოცემულ კურსთან, რაც დასტურდება აკადემიური ხარისხით, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით (აქვთ პუბლიკაციები ბოლო 5 წლის განმავლობაში, პუბლიკაცია ადგილობრივ ჟურნალებში 13, საერთაშორისო 45. ადგილობრივ კონფერენციებში ნაშრომები 16, საერთაშორისო 25. კვლევითი პროექტი 12, წიგნის ავტორი/თანავტორი 4, ნაშრომების თარგმანი 7 და სახელმძღვანელოების რედაქტირება 2) და პედაგოგიური გამოცდილებით. აკადემიური პერსონალი ფლობს კომპეტენციას სწავლის შედეგების მისაღწევად. ➢ სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს 4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 3 უცხოელი პედაგოგი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესრულებას, თუმცა სასურველია პროფილური აკადემიური პერსონალის დამატება შეუფერხებელი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ➢ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ჩართულია სტუდენტების

კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესში ➢ მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას ➢ პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. კარგად იცნობს პროგრამის ყველა კომპონენტს და იღებს მონაწილეობას ყველა ცვლილება/რედაქტირებაში ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ მეტწილად უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება ○ პერსონალის პირადი საქმეები; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები. ○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებას და შედეგების ანალიზს. ტარდება გამოკითხვები, სასწავლო პროცესისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. გამოკითხვის შედეგები ანალიზდება და გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. უსდ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატიურად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სემინარები, ტრენინგები

აკადემიური პერსონალი პერიოდულად მონაწილეობენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, პრესტიჟულ სამეცნიერო კონფერენციებში, ადმინისტრაციის ხელშეწყობით ხორციელდება სხვადასხვა ტიპის გადამზადების კურსები კვალიფიკაციის და უნარების ასამაღლებლად

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე ვლინდება რომ, აუცილებელია განხორციელდეს მეტი ტრენინგები და გაცვლითი პროექტები, რათა სისტემატიურად მოხდეს ცოდნის და ინფორმაციის განახლება

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად სტუდენტი მეტწილად უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური ბაზით, შესაბამისი ლაბორატორიებით და დამხმარე მასალებით.

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს მატერიალ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლებაზე. შეხვედრების დროს აღინიშნა რომ ბოლო პერიოდში მეტწილად შეივსო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა და სახარჯი მასალები.

სტუდენტებს ემსახურებათ თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სერვისს როგორც ადგილზე ვიზიტის დროს, აგრეთვე ელექტრონულად. აგრეთვე ხელმისაწვდომია ელექტრონულ ბაზებზე. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა ლიტერატურას და წიგნების ელექტრონულ ანალოგებს.

სადოქტორო კვლევების სრულფასოვანი შესრულებისთვის და კვლევის მეთოდების მრავალფეროვნებისათვის აუცილებელია მომავალშიც გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიებთან და

ფარმაცევტულ საწარმოებთან, რაც კომპლექსური სამეცნიერო კვლევების ჩატარების შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესური
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასთან და ფარმაცევტულ საწარმოსთან
- რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის შესწავლამ აჩვენა, რომ შემოსავლების კომპონენტი შედგება 3 აკადემიურ წელზე სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასურისა (6000 აშშ დოლარი 1 სტუდენტზე) და სასწავლო სამეცნიერო გრანტისგან, ხოლო პროგრამის ხარჯვით ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ ადმინისტრაციული ხარჯი, ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებისთვის განსაზღვრული ხარჯები. ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში არ არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება, პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო მივლინებების, კონფერენციების, პუბლიკაციების გამოქვეყვებისთვის საჭირო და სხვა პროგრამის განხორცოელებისთვის მნიშვნელოვანი ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ესქპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხზე. საპასუხოდ უნივერსიტეტმა წარმოადგინა სამედიცინო ქიმიის[3] სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც სრულად იდენტურია ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტისა თითოეულ კომპონენტთან მიმართებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას გამოხატა მზაობა საჭიროების შემთხვევაში შემოსავლების ნაწილში სკოლის ბიუჯეტიდან პროგრამის დამატებითი თანხებითა და რესურსებით უზრუნველყოფისთვის. როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, ასევე ადგილზე მატერიალური ბაზის დათვალიერებისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს გამართული აქვს პროგრამისთვის საჭირო ლაბორატორიული ბაზა, რა მიზნითაც შეძენილ იქნა სპეციალური აპარატურა, კეთილმოეწო აუდიტორიები და ლაბორატორიები. მიუხედავად აღნიშნულისა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ასპექტია პროგრამის დაგეგმვის როგორც საწყისს, ისე მისი შემდგომი განვითარების ფაზებში, შესაბამისად რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

[3] აღნიშნული სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თავდაპირევლი სახელწოდებაა

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი საქმიანობის მიმართულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სამსახურის დებულებით, რომლის თანახმადაც სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების მართვას (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების, არსებული პროცედურებისა და მექანიზმების მუდმივ ექსპერტულ შეფასებას, მონიტორინგსა და მათი განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების/გაუმჯობესების, შეფასებისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკა, მექანიზმები თუ პროცედურები, ისევე როგორც ამ პროცესებში ჩართული თითოეული პასუხისმგებელი პირის ფუნქციები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი პროგრამის მიზნებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ამავე დებულების მიხედვით, პროგრამის ა(რე)კრედიტაციის მიზნით იქმნება პროგრამის აკრედიტაციის საბჭო, რომლის წევრებიც დაკომპლექტებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებით, 1 აკადემიური პერსონალითა და 1 სტუდენტით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში არსებული ზემოაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები პროცედურულად სჩანს, რომ უზრუნველყოფენ პროგრამის შემუშავების, მისი განვითარებისა თუ შეფასების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობას, თუმცაღა აღნიშნული არ დადასტურდა სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებიის (პანელზე წარმოდგენილი იყო გაერთიანებულად) აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის, მოწვეული პერსონალი), დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. უფრო კონკრეტულად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი (განსაკუთრებით ამ უკანასკნელთა შემთხვევაში)

არა თუ იცნობს უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რიგ შემთხვევებში ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მისივე სილაბუსის სტრუქტურაზე, შინაარსზე, სწავლებისა და შეფასების მეთოდებზე, შეფასებიs ფორმებსა და კომპონენტებზე. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სადოქტორო პროგრამის აკადემიური გუნდი არ იცნობს საკუთრივ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაკუთრებით კი სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით დაგეგმილ/განსაზღვრულ ღონისძიებებსა და შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელს დაბალი ინფორმირებულობა საკითხთან მიმართებით. მართალია პროგრამა ახალია და მას არ ყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისევე როგორც დამსაქმებლები (ინტერვიუზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი პოტენციური დამსაქმებელი), მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებამ და მათ მიერ საკითხთან დაკავშირებით არსებული ზოგადსაუნივერსიტეტო გამოცდილების გაზიარებამ, არ დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესის დაგეგმვის, პროგრამის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესებში მათი ჩართულობის ტრადიციის არსებობა. უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ცენტრალიზებულია, ასრულებს შესაბამისი სამსახურის და სრულდება ძირითადად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, მასში ნაკლებად მონაწილეობს პროგრამის აკადემიური გუნდი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სადოქტორო პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესში მოხდეს პროგრამის პერსონალის ეფექტიანი ჩართულობა. შესაბამისად, რეკომენდებულია: 1) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას; 2. პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე; 3. ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულ საბჭოთა ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.).

სადოქტორო საფეხურისთვის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ხარისხის მიმართულებით მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება. დებულების მიხედვით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სამეცნიერო კადრის მომზადებას“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აღწერს დოქტორანტის მიერ გასავლელ გზას/ეტაპებს, პროცედურებსა და მოთხოვნებს პროგრამაზე განაცხადის გაკეთებიდან სადისერტაციო თემის დაცვისა და ხარისხის მინიჭების ჩათვლით. დოკუმენტი მისი არსით უმნიშვნელოვანესია როგორც პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულის ხარისხი უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი, რადგან ის განსაზღვრავს თუ რა ცოდნისა და უნარების აპლიკანტის მიღება ხდება პროგრამაზე და რამდენად კვალიფიციური კურსდამთავრებულის ყოლა აქვს განსაზღვრული საგანმანათლებლო დაწესებულებას. უფრო კონკრეტულად კი დოკუმენტის მე-4 თავის, 24-ე მუხლის (სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ადმინისტრირება), მე-4 პუნქტში ვკითხულობთ, რომ „სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია დოქტორანტს დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში შესაბამის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სტატია/პუბლიკაცია და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული მინიმუმ 1 კონფერენციაში. სტატიასთან/პუბლიკაციასთან/კონფერენციასთან დაკავშირებული კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის პროგრამით.“ სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი ფარმაცევტული ქიმიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობაში არაფერია მითითებული დოქტორანტურის დებულების წარმოდგენილ ჩანაწერთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა დოკუმენტაცია (პასუხად განმეორებით მოგვეწოდა დოქტორანტურის დებულება), რომელიც დაადასტურებდა პროგრამის ფარგლებში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში დოქტორანტთა მიერ პუბლიკაციების გამოქვეყნების ვალდებულებას, რადგან აღნიშნული გაჟღერდა და დადასტურდა უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან საუბრისას ისევე როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან. საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გასაუბრებაზე დამსწრე სხვა სადოქტორო საგანანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა სამეცნიერო კომპონენტთან დაკავშირებულ მოთხოვნებში არ დაადასტურეს საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ვალდებულება. მიგვაჩნია, რომ სადოქტორო სასწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვლევის ხარისხისა და სტანდარტების გაზრდა, რათა ერთი მხრივ, ქვეყნის მასშტაბით გვყავდეს უფრო მეტი კვალიფიციური ახალგაზრდა მკვლევარები და ამით გაიზარდოს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, ხოლო მეორე მხრივ შეიქმნას ორიგინალური, მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქცია, რომელიც აპრობირებული იქნება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის სტანდარტებთან და რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამისი დარგების ჯეროვან განვითარებას. შესაბამისად, რეკომენდებულად მიგვაჩნია გადაიხედოს დოქტორანტურის დებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სტატიის გამოქვეყნების პირობები და კრიტერიუმები. სახელდობრ, რეკომენდებულია დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა პირობაა გახდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო

პუბლიკაციის გამოქვეყნება, კერძოდ კი ა) რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ბ) ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის ბაზებში.

დოქტორანტურის დებულების 1-ლი თავის, მე-2 მუხლის ე ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის (პროგრამით შესაძლებელია სხვა ენის განსაზღვრაც) B2 დონეზე ცოდნის დადასტურება უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული ყველა საგანმანთლებლო პროგრამის შემთხვევაში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიღების მიღების წინაპირობებში აღნიშნული მეორდება. მიგვაჩნია, რომ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანანმანათლებლო პროგრამებისთვის აპლიკანტის მიერ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე დადასტურება შესაძლებელია არ იყოს საკმარის მაღალხარისხიანი სამეცნიერო პროდუქციის (დისერტაციის, პუბლიკაციის) შესაქმნელად. შესაბამისად, სასურველია თუ დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის ემპირიული ბაზა არის ინგლისურენოვანი, მაშინ მას მოეთხოვებოდეს ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა. სასურველია თუ საკითხთან დაკავშირებით გადაიხედება დოქტორანტურის დებულების მე-2 მუხლის შესაბამისი ჩანაწერი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ენის დონის მიმართ წაყენებული მსგავსი მოთხოვნა გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხისა და დოქტორანტების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის შესწავლამ, მსგავსად სამაგისტრო პროგრამისა, გამოკვეთა რიგი შეუსაბამობები აკრედიტაციის სტანდარტებთან და საკუთრივ აკრედიტაციის პროცედურასთან მიმართებით. სახელდობრ, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა დამტკიცებულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის N911988 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, მისი ფორმითა და შინაარსით გამომდინარეობს და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ფორმა წარმოადგენს არა სარეკომენდაციო დოკუმენტს, არამედ მაქსიმალური სიცხადით, ფორმაში გამოტანილი კრიტერიუმების მიხედვით შესავსებ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც „უნდა ასახავდეს დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და კრიტიკულ ხედვას, ასევე, საქმიანობის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასება უნდა იყოს სტილისტურად გამართული, გასაგებად და ნათლად დაწერილი. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში გაკეთებული თითოეული განაცხადი უნდა იყოს სათანადოდ არგუმენტირებული და ეფუძნებოდეს შესაბამის მტკიცებულებებს, რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს.“ (იხ. ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული თვითშეფასების ანგარიშის ფორმა, გვ. 8). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი უკლებლივ 5-ვე სტანდარტთან მიმართებით ვერ აკმაყოფილებს ოფიციალური ფორმით განსაზღვრული კომპონენტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციისა თუ ანალიზის

წარმოდგენას. თვითშეფასების აღწერილობითი ნაწილი არასრულადაა შევსებული, ხოლო რაც შეეხება შეფასებით ნაწილს, დოკუმენტი არ მოიცავს პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და განხორციელებული/განსახორციელებლი აქტივობების შეფასებას. რაც შეეხება თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავებაში აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჩართულობას, გასაუბრებისას დადასტურდა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელთა თანამონაწილეობა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩართული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის მართვის დებულება - ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ დოქტორანტურის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას; • რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე; • რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა

და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.). • რეკომენდებულად მიგვაჩნია გადაიხედოს დოქტორანტურის დებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სტატიის გამოქვეყნების პირობები და კრიტერიუმები. სახელდობრ, რეკომენდებულია დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა პირობაა გახდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება, კერძოდ კი ა) რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ბ) ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების პროგრამების დოქტორანტებისთვის შესაძლებელია ამავე მიზნით შეთავაზებულ იქნას ERIH PLUS) ბაზებში. • რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში, მაშინ როცა დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის ემპირიული ბაზა არის ინგლისურენოვანი, მას მოეთხოვებოდეს ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა. სასურველია თუ საკითხთან დაკავშირებით გადაიხედება და დაზუსტდება დოქტორანტურის დებულების 1-ლი თავის, მე-2 მუხლის შესაბამისი ჩანაწერი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტში პროგრამის გარე შეფასების მიზნით იყენებენ კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კმაყოფილები შეფასების კვლევას რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, ასევე, პოტენციური დამსაქმებლების კვლევასა და მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრას, ისევე როგორც ახორციელებენ დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენას. ამ მიზნით წარმოდგენილია ერთი პოტენციური დამსაქმებელის გამოკითხვის შედეგები. მიღებული ინფორმაცია მართალია იძლევა ზოგად წარმოდგენას პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესახებ, მაგრამ მისი არარეპრეზენტატულობიდან გამომდინარე (მხოლოდ ერთი დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგი) ვერ იქნება მიჩნეული ვალიდურ შეფასებად. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რამდენიც საჭიროა ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის. მაგ., ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში შესაძლებელია 8-10 დამსაქმებელი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში, დარგის სპეციფიკის და შრომის ბაზარზე არსებული რეალობის გათვალისწინებით მინიმუმ 20-30 დამსაქმებელი როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სივრციდან.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები გარე შეფასების მიზნით გაეგზავნა დარგის უცხოელ ექსპერტს/შემფასებელს. წარმოდგენილი გარე შეფასების დოკუმენტი ნაკლებად ასახავს პროგრამის სიღრმისეულ ანალიზსა და ვფიქრობთ, არ იძლევა პროგრამის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. პროგრამის შემუშავების საწყის და შემდგომი განვითარება-გაუმჯობესების ეტაპებზე უმჯობესია გარე შემფასებლის მიერ წარმოდგენილ იქნას პროგრამის მიზნების,

შედეგების, სასწავლო გეგმის, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების შესაბამისობის, სამეცნიერო კომპონენტის სიღრმისეული და დეტალური ანალიზი და შეფასება. ამავე მიმართულებით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამა და სასწავლო კურსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესში გარე ექსპერტის დასკვნა; ○ გამოთხოვილი დოკუმენტები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის. • რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესები, მეთოდები და მექანიზმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულების დოკუმენტში. წინამდებარე დოკუმენტი პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პარალელურად განსაზღვრავს პროგრამის განახლების, მისი სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით, პროგრამის ინიცირების საწყის ეტაპზე, ხოლო შემდგომ შემუშავების/განახლების მიზნით გამოყენებული უნდა იყოს პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი. გამოკვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების, დასაქმების ბაზარზე მოცემულ სპეციალისტებზე მოთხოვნის, ასევე, შრომის ბაზრის კვლევა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ დასაქმების ბარის კვლევას, ხოლო მეორეს მხრივ კურსდამთავრებულთა

პოტენციური დასაქმების სფეროების და დამსაქმებლების კვლევას. პროგრამის შემუშავება/განახლებისთვის ამავე დებულების მიხედვით მნიშვნელოვანია „დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა“, „პოტენციური აკადემიური პერსონალის ხედვების შესწავლა“, „პროგრამასთან შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება“ და სხვ. ყოველივე ზემოჩამოთვლილი წარმოადგენს არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების/განახლების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან ელემენტებს, არამედ არის პროგრამის მონიტორინგისა და განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისთვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმები. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლამ და განხილვამ, კონკრეტულად კი თუ რა ინფორმაციას გვაწვდის თითოეული მათგანი პროგრამის შეფასებისა და ანალიზის მიმართულებით, გამოკვეთა მათი ხარისხობრივი გაუმართაობა და არარელევანტურობა.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტაციაში, როგორც აღვნიშნეთ, იძებნება მხოლოდ ერთი პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის პასუხები, რომელიც ვერ იქნება მიჩნეული პროგრამის და მისი კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების შეფასების მიმართულებით მნიშვნელოვან დოკუმენტად. რაც შეეხება პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზსა თუ შრომის ბაზრის კვლევას, თვითშეფასების საქაღალდეში იძებნება შრომის ბარის კვლევის 2 გვერდიანი დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტი არაფერს გვეუბნება კვლევის მეთოდოლოგიის, გამოკითხული რესპოდენტების რაოდენობის ან შესწავლილი წყაროების, კვლევის ჩატარების ხანგრძლივობის, მონაცემების დამუშავების და მსგავსი კვლევისთვის მნიშვნელოვანი სხვა ეტაპებისა თუ კომპონენტების შესახებ. კვლევაში ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია დასაქმების სფეროების და პოზიციების შესახებ. ასევე, შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი ვერ ადასტურებს პროგრამის საჭიროებას. შესაბამისად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზრის კვლევა რეალურად მისი შინაარსით არ ატარებს კვლევის ხასიათს და ამით ირღვევა საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა პროგრამის შემუშავება/განახლების და ზოგადად, პროგრამის მონიტორინგის ეტაპისთვის. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატული მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტს განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია პროგრამის ანალოგ პროგრამებთან შედარება არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე, არამედ აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომში მონიტორინგის ეფექტიან მექანიზმადაც. აღნიშნული დოკუმენტი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის დროს, რის პასუხადაც დაწესებულებამ

წარმოდგინა ანალოგი პროგრამის აღწერილობა არაბულ ენაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია მისივე შიდამარეგულირებლით განსაზღვრული დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლის ანგარიში ან სხვა ანალიზური დოკუმენტი. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, სტანდარტის 5.3. კომპონენტის სავალდებულო მოთხოვნაა პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცი (საგანმანათლებლო პროგრამის დებულება) მოითხოვს დასავლური ანალოგი პროგრამების შესწავლას პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესში, რეკომენდებულად მიგვაჩნია მეტი ეფექტიანობისთვის პროგრამის სამუშაო გუნდმა გააქტიუროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას, მათი მხრიდან ყურადღება გამახვილდა უნივერსიტეტში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მიზნით არსებული სისტემის გამართულობასა და ქმედუნარიანობაზე. ინტერვიუებით იდენტიფიცირდა პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში ისეთი მექანიზმების არსებობა როგორიცაა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. როგორც ჩანს, აღნიშნული გამოკითხვებით მიღებული მონაცემები, ისევე როგროც აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები მეტ-ნაკლებად თავს იყრის პროგრამის წლიური თვითშეფასების ანგარიშში, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი კვლევები/გამოკითხვების ანგარიშები არ იქნა მოწოდებული. მხოლოდ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის წლიური ანგარიში, საიდაც ძირითადად გამოტანილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და კმაყოფილების დონე დისტანციური სწავლებით. აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო და პროგრამული კითხვარების შევსებაში მონაწილეობა ვერ გაიხსენეს პანელზე წარმოდგენილმა სტუდენტებმა, ხოლო კურსდამთავრებულების მხრიდან დაფიქსირდა კითხვარების შევსებაში მონაწილეობა. ორივე ჯგუფთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კვლევის შედეგებზე აქვთ წვდომა არ აქვთ და ამ მიმართულებით ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიერ ამ სწავლის შედეგების დაძლევადობის უზრუნველყოფა. სააკრედიტაციო პაკეტს არ ახლდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, კურიკულუმის რუკა და სხვა ანალიზური

დოკუმენტები, რომელებიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის აკადემიური გუნდის ხედვაზე საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისი დოკუმენტები გამოთხოვილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას. ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა მხოლოდ პროგრამის კურიკულუმის რუკა (სადაც წარმოდგენილია როგორც სავალდებულო ისე არჩევითი კურსების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან). წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა საჭიროებს გადახედვას და მეტ დეტალიზაციას. სახელდობრ, პროგრამის მე-5 და მე-6 სწავლის შედეგებზე რუკის მიხედვით არ გადის არც ერთი სავალდებულო სასწავლო კურსი, შესაბამისად, ეს შედეგები ვერც ერთი სასწავლო კურსით ვერ მიიღწევა წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად. დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ გაიდლაინს სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის ანალიზის კუთხით, არ იკითხება თუ რა დონეზე (გაცნობის, გაღრმავების, განმტკიცების) ხდება სწავლის შედეგის მიღწევა ამა თუ იმ სავალდებულო სასწავლო კურსის მიერ. ასევე, საეჭვოა იმ სწავლის შედეგების მიღწევადობა, რომლებზეც მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი გადის. აღსანიშნავია, რომ რუკის მიხედვით დისერტაცია, ისევე როგორც სავალდებულო 2 პუბლიკაცია, არ გადის არც ერთ სწავლის შედეგზე. სადოქტორო ნაშრომი ვიცით, რომ წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ, დასკვნით ნაშრომს, სამეცნიერო კომპონენტს, რომელიც თავს უყრის დოქტორანტის მიერ შესაბამის დარგში აქამდე მიღებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს. დისერტაცია, მისი არსიდან გამომდინარე გადის პროგრამის უკლებლივ ყველა სწავლის შედეგზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება.

რაც შეეხება სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმს, უშუალოდ შემუშავებულს სადოქტორო პროგრამისთვის, სადაც იდენტიფიცირებული იქნება თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სამეცნიერო კომპონენტი და სასწავლო კურსი, ამ კურსიდან შეფასების ფორმა/კომპონენტი, შესაბამისი სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვებასა და იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი, მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი არ იქნა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით აღნიშნული მექანიზმი არსებობა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო რეგულაციით - საგანმანთლებლო პროგრამის დებულებით. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდებულად მიიჩნევს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ფარმაცევტული ქიმიის ახალი სადოქტორო პროგრამისთვის, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა და შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი საგანმანთლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ნაწილობრივ გამართულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- კურიკულუმის რუკა;
- ფარმაციის პროგრამის წლიური ანგარიში;
- ანალოგი პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:

✓ მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;

✓ შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით

განსაზღვრით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფარმაცევტული ქიმია, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			✓	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები			✓	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლაშა ბაკურიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაკა ჯავახია

ქრისტინე ჩიხლაძე

ბაქარ დუაძე